მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმი, სოციალური დომინანტობის ორიენტაცია, ემპათია და სქესი, როგორც კლასიკური და თანამედროვე სექსიზმის პრედიქტორები

ანა აბზიანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა აბზიანიძე

25 ივნისი 2021 წელი

აბსტრაქტი

საქართველოში სექსიზმი სოციალური ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან ნაკვლევი არაა. წინამდებარე ნაშრომი საქართველოში სექსიზმის ბუნების ამ ჭრილში შესწავლის პირველი მცდელობაა. კვლევას ორი მთავარი მიზანი აქვს: პირველ რიგში, იმის გაგება, თუ როგორ ვლინდება სექსიზმი ქართულ საზოგადოებაში. შესაბამისად, ერთ-ერთ საკვლევ კითხვას წარმოადგენს ის, თუ სექსიზმის რომელი საზომია რელევანტური (კლასიკური თუ თანამედროვე). მეორე მიზანს იმის გაგება წარმოადგენს, თუ რომელი ინდივიდუალური დონის და დამოკიდებულებრივი ცვლადები წინასწარმეტყველებენ კლასიკურ ან/და თანამედროვე სექსიზმს საქართველოში. მოცემულ კვლევაში შემდეგი პრედიქტორებია შემოწმებული: მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმი (RWA), სოციალური დომინანტობის ორიენტაცია (SDO), სქესი, ემპათია და რელიგიურობა. მონაცემები ხელმისაწვდომი შერჩევიდან შეგროვდა და 212 ადამიანი გამოიკითხა. შედეგები იმაზე მიანიშნებს, რომ კლასიკური სექსიზმის სკალაზე გამოკითხულების უმეტესობა დაბალ ქულებს იღებს. ეს ფაქტი საქართველოში სექსიზმის კლასიკური საზომის რელევანტურობას ეჭვქვეშ აყენებს. საგულისხმოა, რომ კლასიკურ და თანამედროვე სექსიზმს განსხვავებული ცვლადები წინასწარმეტყველებს, რაც ამ ორი კონსტრუქტის გამიჯვნის საშუალებას იძლევა და იმაზე მიანიშნებს, რომ სექსიზმი საქართველოში შეფარული ფორმებითაც არის გამოხატული. მოცემული შედეგები განხილულია წინარე ლიტერატურასა და თეორიულ ჩარჩოებზე დაყრდნობით. ხაზგასმულია, ასევე, კვლევის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულებები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კლასიკური სექსიზმი, თანამედროვე სექსიზმი, მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმი, სოციალური დომინანტობის ორიენტაცია, ემპათია.

Abstract

There are no social psychological studies related to sexism in Georgia. The Current paper is the first attempt to explore the nature of sexism in Georgia through the perspective of social psychology. The present study has two main goals: firstly, to see how sexism manifests itself in Georgian society. Therefore, the first research question relates to which sexism scale (Old Fashioned vs Modern) is most relevant for researching sexism in Georgian society. Secondly, this study aims to explore which individual-level and attitudinal variables predict Old-Fashioned/Modern Sexism. Predictor variables tested in the study are: Right-wing authoritarianism (RWA), social dominance orientation (SDO), empathy, sex, and religiousness. 212 participants were studied by using convenience sampling. Results revealed that most of the participants scored low on the Old-Fashioned Sexism scale. These results indicate that Classical Sexism scale might not be an appropriate measure of sexism in Georgia. It is worth noting that different variables predicted Old-Fashioned and Modern sexism. This, in turn, indicates that two sexism constructs are independent from each other for Georgian population and that sexism manifests itself in covert forms. Findings are discussed leaning upon previous research and theoretical frameworks. And finally, the study limitations and future directions are discussed.

Keywords: Old-Fashioned Sexism, Modern Sexism, Right Wing Authoritarianism, Social Dominance Orientation, Empathy.